



სერტიფიკატი ფეხბურთის მენეჯმენტში 2022 პროგრამის აღწერილობა

საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ) აცხადებენ მიღებას ერთობლივ სასერტიფიკატო პროგრამაზე ფეხბურთის მენეჯმენტში.

პროგრამა განკუთვნილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქციაში შემავალი სუბიექტების მიერ წარდგენილი პირებისთვის.

პროგრამა 6 მოდულისგან შედგება:

- **მსოფლიო ფეხბურთის მოწყობა (03-05.05.2022)**
 - ❖ ფეხბურთი - თამაში და სპორტის სახეობა
 - ❖ მსოფლიო ფეხბურთის პირამიდა და ევროპული ფეხბურთის ღირებულებები
 - ❖ ეროვნული ფედერაციების შიდა პირამიდული სტრუქტურა
 - ❖ მარეგულირებელი დოკუმენტები
 - ❖ ფეხბურთი, როგორც სიცოხლისუნარიანი მდგრადი ბიზნესი
- **სტრატეგიული მართვა (22-24.05.2022)**
 - ❖ სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება
 - ❖ ბიზნეს მოდელი და ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა
 - ❖ ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება
- **მარკეტინგი და სპონსორობა (22-24.06.2022)**

- ❖ დაინტერესებული მხარეების ღირებულებები და ინტერესები (სპონსორები, მომხმარებლები, სპორტსმენები)
- ❖ ბრენდინგი
- ❖ ორგანიზაციის პრომოუშენი

- **ოპერაციული მართვა (29-30.06.2022)**
 - ❖ მოტივაციის კონცეფცია
 - ❖ წახალისება/ბონუსები/პრემიები
 - ❖ ორგანიზაციული სტრუქტურა
 - ❖ ძირითადი ფინანსური დოკუმენტები, ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური ოპერაციები
 - ❖ სერვისების შემუშავება და ორგანიზება

- **მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა (20-22.07.2022)**
 - ❖ საკომუნიკაციო არხები
 - ❖ აქტივობების პიარი და გავლენა სტრატეგიულ პიარზე
 - ❖ კრიზისული სიტუაციების მართვა
 - ❖ რეპუტაციის მართვა

- **ღონისძიებების მართვა (20-22.07.2022)**
 - ❖ ღონისძიების მენეჯმენტი (პრაქტიკული აქტივობა საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩზე)
 - ❖ სტადიონების ინფრასტრუქტურა და მისი მოვლა
 - ❖ უსაფრთხოების ნორმები და წესრიგის დაცვა

ტექნიკური აღწერილობა

სწავლის დასაწყისი: 03.05.2022.

სწავლის ხანგრძლივობა: 5 თვე, ლექციები ჩატარდება განრიგით დადგენილ დღეებში, სრული დღის განმავლობაში, 10:00-დან 18:00-მდე

გამოცდა/დაჯილდოვება: 15-17.09.2022.

კურსის მოცულობა: 168 საათი

სწავლების ენა: ქართული (ყველა ძირითადი მასალა იქნება წარმოდგენილი ქართულ ენაზე).

სერტიფიკატი

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ **ფეხბურთის სერტიფიცირებული მენეჯერის სერტიფიკატი**, სხვა დანარჩენ შემთხვევაში, მონაწილეებს გადაეცემათ პროგრამაზე **დასწრების დამადასტურებელი სერტიფიკატი**.

სერტიფიკატის აღების წინაპირობა: პროგრამის მანძილზე, მსმენელებმა განვლილ საგნებში უნდა ჩააბარონ გამოცდები, ასევე კურსის ბოლოს უნდა წარმოადგინონ წარმდგენი ორგანიზაციის განვითარების ინდივიდუალური გეგმა / პროექტი. მნიშვნელოვანია მონაწილეების სრული დასწრება პროგრამაზე. ერთზე მეტი მოდულის გაცდენის შემთხვევაში (სრული ან ნაწილობრივი), სერტიფიკატი არ გაიცემა.

ფეხბურთის სერტიფიცირებული მენეჯერის სერტიფიკატის მისაღებად ასევე სავალდებულოა აქტიური მონაწილეობა პრაქტიკულ აქტივობებში, რაზედაც მსმენელი ინფორმირებული იქნება კურსის მსვლელობისას.

მისაღები პროცედურები:

მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმები: სასურველია, მონაწილეებს ჰქონდეთ მყარი მოტივაცია, ორგანიზატორული უნარები, გამოირჩეოდნენ ინიციატივებით და ჰქონდეთ კომუნიკაციის და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების უნარი.

რეგისტრაცია: სასერტიფიკატო პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეავსონ **ონლაინ განაცხადის ფორმა (დააჭირეთ აქ)**, რომელშიც ასევე უნდა ატვირთონ პირადობის მოწმობის ასლი, საპასპორტო ფოტო და წარმდგენი სფფ-ის სუბიექტის ნდობის წერილი, 2022 წლის 28 თებერვლამდე.

ნდობის წერილში, კერძოდ, სფფ-ის იურისდიქციაში შემავალი ორგანიზაციის უფლებამოსილმა პირმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ იგი ფინანსურად უზრუნველყოფს განმცხადებლის მონაწილეობას პროექტში და, აგრეთვე, მისცემს

წვდომას ორგანიზაციის ინფორმაციაზე (მათ შორის, ფინანსური, იურიდიული და ა.შ.), რომელიც საჭირო იქნება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საბოლოო პროექტის მოსამზადებლად ([ნდობის წერილის ფორმა](#)).

განაცხადების მიღების შემდეგ, ჩატარდება **გასაუბრება** მიმღებ კომისიასთან. გასაუბრება ჩატარდება **10-დან 11 მარტამდე**, რაზედაც კანდიდატები ინფორმირებულნი იქნებიან ელ-ფოსტით.

მონაწილეების საბოლოო სია გამოქვეყნდება **2022 წლის 15 მარტს**.

სწავლის საფასური

პროგრამის სრული საფასურია **800 ლარი** (გადასახადების ჩათვლით), რომელიც ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა გადაიხადოს წინასწარ, სწავლის დაწყებამდე, სფფ-ის ანგარიშზე:

სს. „ვითიბ ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBG22
ა/ა GE14VT6600002625883608

გადახდის დადასტურება უნდა იქნეს წარმოდგენილი სწავლის დაწყებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება სასწავლო კურსზე. სწავლების საფასური გადამხდელს არ უბრუნდება.

ინფორმაცია ლექტორების შესახებ

ტრენინგს გაუძღვებიან GIPA-სა და საქართველოს ევხბურთის ფედერაციის ინსტრუქტორები:

ნიკოლოზ აბუაშვილი (GIPA) – PhD, ბიზნეს პრობლემების გადაწყვეტის 20+ წლიანი გამოცდილება. რიგითი თანამშრომლიდან დაწყებული, ზედა რგოლის მენეჯერობითა და კონსულტანტობით დამთავრებული, მას უმუშავია კერძო და საჯარო ორგანიზაციების ფართო წრესთან, როგორებიც არიან ბანკები („თიბისი ბანკი“, „სახალხო ბანკი“ და სხვა), ინფრასტრუქტურული კომპანიები (საქართველოს რკინიგზა, ბათუმისა და ფოთის პორტები), მწარმოებლები (ლუდსახარშები „ლომისი“ და „ნატახტარი“), სამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუტები (GEPA, GTZ, KfW, TACIS, მსოფლიო ბანკი) და სხვა ორგანიზაციები სხვადასხვა სექტორიდან.

1995 წლიდან ატარებს პროფესიულ ტრენინგებსა და ეწევა აკადემიურ მოღვაწეობას. კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა ქართულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში. არის კომპანია „Business Infrastructure Solutions“-ის დამფუძნებელი პარტნიორი.

მისი კომპეტენცია არის ბიზნესების ღირებულების ზრდა, მათი გაჯანსაღება და განვითარება, მარკეტინგის დაგეგმვა და განხორციელება, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, პროექტების მართვა და პერსონალის განვითარება.

გიორგი თურქია (GIPA) - PhD, აქვს ბიზნეს მენეჯმენტის სექტორში ლექციების წაკითხვის 20+ წლიანი გამოცდილება. 17 წელია არის ექსპერტი ბიზნესის დაგეგმარების და მენეჯმენტის საკითხებში და კონსულტაციებს უწევს სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. არის რამდენიმე პროექტის ინიციატორი და გამოცდების ეროვნული ცენტრის ჯგუფის სპეციალისტი. ასევე, წიგნის „ბიზნესის საფუძვლები“ და „ბიზნესი“ თანაავტორი.

ბაქარ ჟორდანი (სფფ) – სფფ-ის კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი, უეფას მატჩების დელეგატი.

სწავლობდა გამოყენებითი მათემატიკის და კიბერნეტიკის ფაკულტეტზე (MFY, თსუ), რომელიც დაამთავრა 1994წ. 2011-2013წწ. ლოზანის უნივერსიტეტში წარმატებით გაიარა UEFA-ს სასერტიფიკატო, ხოლო შემდგომ სადიპლომო პროგრამა ფეხბურთის მენეჯმენტში (UEFA Diploma in Football Management – University of Lausanne). 1995წ-დან მუშაობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. იყო სხვადასხვა პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი. 2007წ-დან ხელმძღვანელობს ფეხბურთის კლუბების ლიცენზირებას. არის უეფას მატჩების დელეგატი. რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო საფეხბურთო კონფერენციებში, ასევე მიწვეული ლექტორის სტატუსით მონაწილეობს ევროპული სპორტული/საფეხბურთო ინსტიტუტების სასწავლო პროგრამებში.

ქეთევან გოლიაძე (სფფ) – საქართველოს და სომხეთის სტუდიების ბრენდინგისა და კომუნიკაციების ხელმძღვანელი.

2011წ. დაასრულა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი. 2013წ. მიიღო მაგისტრის ხარისხი ამავე უნივერსიტეტში კერძო სამართლის განხრით. 2015წ. დაასრულა მალტის ოფიციალური წარმომადგენლობის სასერტიფიკატო კურსი საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება. 2011-2013წწ. იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთვარი სპეციალისტი. სხვადასხვა წლებში კერძო სექტორში იკავებდა მენეჯერულ პოზიციებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. 2016 - 2019 წლებში იკავებდა სფფ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის პოზიციას.

ნიკოლოზ ჯდარკავა (სფფ) – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, უეფას მასობრივი ფეხბურთის განვითარების კომიტეტის წევრი, უეფას დელეგატი.

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აქვს განათლება ზოგად მენეჯმენტში (GIPA). 2015 წელს

წარჩინებით დაასრულა UEFA-ს საფეხბურთო მენეჯმენტის პროგრამა (UEFA Certificate in Football Management – University of Lausanne). 2006-2015წწ. მუშაობდა „დინამო თბილისში“ სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის 2011-2015წწ. იყო ჯერ „დინამო არენას“, ხოლო შემდეგ - ფეხბურთის კლუბ „დინამო თბილისის“ დირექტორი. 2015წ. არჩეულ იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და არის ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი. აქვს მაღალი რანგის საფეხბურთო ღონისძიებების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება.

ირაკლი ნაკაიძე (სფფ) – სფფ-ის სპორტული ღონისძიებების მენეჯერი, უეფას მატჩების დელეგატი.

1998–2002წწ. სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. 2015წ. წარმატებით გაიარა UEFA-ს საფეხბურთო მენეჯმენტის პროგრამა (UEFA Certificate in Football Management – University of Lausanne). 2005წ-დან მუშაობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2007წ-დან ჩართულია სფფ-ის სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში. რეგულარულად მონაწილეობს უეფას თუ ფეხბურთის მმართველი სხვა ორგანოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. 2010წ-დან არის უეფას მატჩების დელეგატი და უეფას სერტიფიცირებული მატჩების მენეჯერი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ზურაბ აბზიანიძე

საგანმანათლებლო პროექტების მენეჯერი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

მობ: 595 04 24 24

e-mail: cfm@gff.ge ან football@gipa.ge